# საქართველო

წლიწადი მეექვსე — ოთხშაბათი, იანვრის 14 1920 წ. № 9 — ფასი 3 მან.



**კინო პალასი** — დიდებული დადგმა. საუცხოვო ანსამბლი:— ეკრანის ორი სიმშვენიერე

## ელენე ლეონიდოვისა

(ცნობილი მარიამ მაგდალინელის სურათით)

**ევა დორინგტონ** მხატვრულ სალონის დრამაში

**ვნება და (გამოცდა)** 5 ნაწილად **ცეკვა „შიშველისა"**

ე. ლეონიდოვის შესრულებით

მუსიკ. ილუსტრ. ნ ხუდიაკოვისა

**აპოლლო** — სამშაბათიდან მხატვრული დადგმა 5 ნაწილად

## ნახევარ ქვეყნის დედოფალი

ნათამაშევი პარიზის ოპერის მსახიობთაგან.

მთავარ როლში ულამაზესი მილლა მორიე.

## დასასრულ სანახაობითი

კინო-თეატრი ოლღას ქუჩა № 3. **ფილმა** გაგრძელება გრანდიოზული დადგმისა

დღეს **ფილანტროპი** და **მეზღვაური** სიმგადი

ეპოქები 3 და 4 (6 ნაწ.)

## გრაფ-მონტე-კრისტო

ა. დიუმას უკვდავ რომანით

ძმ. „პატეს" ატელიეს გამოცემა.


## პირველ იანვრიდან გამოდის

**ყოველ-დღიური საპოლიტიკო, საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთი**

# საქართველო

**1920 წ. (წლიწადი მეექვსე) 1920 წ.**

გაზეთი არის ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულებისა, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის და სასოფლო მეურნეობის წარმატებას, აგრეთვე საპროფესიო და სატეხნიკო ცოდნათა გავრცელებას.

გაზეთში მონაწილეობენ ცნობილი პუბლიცისტები და მწერლები.

გაზეთს ყავს კორესპონდენტები ევროპაში და სპეციალი ტელეგრაფი—კორესპონდენტები საქართველოს ყველა ქალაქებსა და დაბებში, აგრეთვე ბათომში, აზერბაიჯანში, სომხეთში და ჩრდილო-კავკასიაში, რაც საშუალებას აძლევს მას მიაწოდოს მკითხველ საზოგადოებას ფართო ინფორმაცია, როგორც შინაური ცხოვრებისა, ისე უცხოეთის ვითარებისა.

პირველ იანვრიდან გაზ. „საქართველოს" გამომცემლობა იკისრა, თანახმად თბილისის ვაჭარ მრეწველთა დადგენილებისა, საგანგებოდ არჩეულმა კომიტეტმა. კომიტეტი მიმართავს თბილისისა და სხვა ქალაქების ვაჭარ-მრეწველთ განურჩევლად ეროვნებისა ამ თავითვე დაიკვეთონ მთელის წლით გაზ. „საქართველო" და ერთად შემოიტანონ ხვედრი ფული არა ნაკლებ ასი თუმნისა. ხელის მოწერა მიიღება: გაზეთის კონტორაში (დამფუძნებელი კრების ქ. № 5.) ქართულ კლუბში ნიკოლოზ წვერავასთან, სამეურნეო ბანკში პ. გოთუასთან, ამიერ კავკასიის ბანკში ი. ლორთქიფანიძესთან, პუშკინის ქუჩაზედ ალექსანდრე ძევგელოვთან, შუა ბაზარში იოსებ გველესიანთან, რკინის გზის სადგურის რაიონში სისიაშვილების ქარხანაში—დავით კალანდაძესთან, მეორე ქართულ კლუბში დიმ. დუმბაძესთან, პლეხანოვის ქუჩაზედ სასტუმრო „ნოე"-ში ნოე სიხარულიძესთან და ბორჯომის ქუჩაზედ სპ. ბენდუკიძესთან, სავაჭრო პალატაში მიხ. ჯავახიშვილთან.

### გაზეთის ფასი:

| ერთი წლით | ნახევარ წლით | სამი თვით |
| --- | --- | --- |
| 1000 მან. | 600 მან. | 300 მან. |

**მისამართი:** თბილისი, დამფუძნებელი კრების (ყ. სასახლის) ქუჩა № 5. ქართული ქარვასლა. ფოსტის მისამართი: თბილისი, ფოსტის ყუთი № 76. დეპეშის მისამართი: თბილისი „საქართველო".


საქელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კავშირის გამგეობის მიერ იანვრის 26-ს „სტუდენტთა დღის" აღსანიშნავად გამოცემულ იქნება ჟურნალი

## „ქართველი სტუდენტი"

ჟურნალის სარედაქციო კოლეგია სთხოვს ამხანაგებს მოაწოდონ წერილები, მოგონებანი და სხვა მასალები სტუდენტთა ცხოვრებიდან.

მასალები მიიღება მხოლოდ იანვრის 15-დე, შემდეგის მისამართით: სახელმწიფო უნივერსიტეტი—ჟურ. „ქართველ სტუდენტისათვის", ან სტუდენტთა სასადილოში. სარედაქციო კოლეგია:

2703—4—3

## საქართვ. სატრანსპორტო

**საზოგადოების გამგეობა**

ამით აცხადებს, რომ საზოგადოების აქციონერთა

## საზოგადო კრების

გაგრძელება გადადებულია და დანიშნულია შაბათს, იანვრის 17, საღამოს 7 საათზე, საურთიერთო ნდობის ბანკის ბინაზე (დამფუძნებელ კრების ქუჩა, № 6).

331 2—2

## ქართული კლუბი

ოთხშაბათს იანვრის 14-ს რუსულ დრამის „ტარტოს" მიერ წარმოდგენილი იქნება:

I

## „არა ამხანაგურად"

1 მოქმედებად.

II

## „ისინი ერთოგიან"

შარჟი 3 მოქმედებად.

მონაწილეობს მთელი დასი. რეჟისორი ა. ა. ტუგანოვი.

კლუბში შესვლა საზოგადო წესით.

gulitad madlobas



გულითად მადლობას ვწირავ—ყველა იმათ ვინც თავიანთ დასწრებით თუ წერილობით შემიმსუბუქა უზომო მწუხარება, დაუვიწყარი მეუღლის გარდაცვალების გამო.

**იოსებ ლიონიძე შვილებითა და სიძით.**

2712 1—1

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

კვირას იანვრის 14-ს

## ფრა-დიავოლო



## ქიმერიონი

**ქართველ მწერალთა კლუბი**

(რუსთაველის პრ., 21, ყოფ. „ანონა")

დღის 1-ლ საათიდან 5-დის

## სადილები

რუმინული ორკესტრი ანგელესკო

საღამოთი ახალი პროგრამა

დასაწყისი 10 ს. პროგრამის დასაწყისი 10 ს.

კონფერანსიე ნერაევი

## ქართული სამუსიკო სკოლა

**ქართულ სამუსიკო საზოგადოებისა**

მისაღები გამოცდა: როიალის, სიმღერის, ვიოლონჩელის, სკრიპკის, ჩასაბერ ინსტრუმენტების და თეორიის კლასში დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან დილის 10-2 საათამდის და საღამოს 5—7 საათამდის.

**მასწავლებლებად ითვლებიან როიალის კლასში.**

1) მ. მ. ავალიანი, 2) თავ. ხელ. ე. გ. აბელაშვილი ყარანგოზიშვილისა, 3) ო. ძ. ბერგ-პივო-ვაროვისა, 4) თავ. ხელ. ლ. დ. ვოლგმანის, 5) თავ. ხელ. ს. ს. კარაკაშ, 6) ნ. ვ. კალაშნიკოვასი, 7) თავ. ხელ. ე. გ. ქიქოძე, 8) ე. ი. პოლტარაცკაია ძადატოვისა, 9) თავ. ხელ. რ. ე. ხოსროევისა.

**ვიოლონოს (სკრიპკის) კლასში.**

1) თავ. ხელ. ა. ნ. ყარაშვილი, 2) თავ. ხელ. ი. ი. ფიშბერგი, 3) თავ. ხელ. ვ. ა. მეტელნიკოვისა.

**სიმღერების კლასში**

1) ა. ი. ჯაყელისა, 2) ვ. ი. კირილოვისა, 3) რ. ნ. პოლიაევი, 4) პროფესორი ე. კ. რიადნოვი, 5) ო. ა. შულგინა.

**ჩასაბერ ინსტრუმენტების კლასში**

ფლეიტის კლ.—ფიდელმანი, გობოის კლ.—ა. ი. გროშევი, კლარნეტის კლ. ფაინერი, ფაგოტას კლ,—ნაიმანი.

**საოპერო სტუდიის კლასში.**

ს. ა. სტოლერმანი. მასწავლებლად ითვლებიან თეორიის და კომპოზიციის კლასში. თავ. ხელ. ი. ს. აბაშიძე (ქართ. განყოფილება). დ. ე. არაყიშვილი (რუსული განყოფილება) სხვა სპეციალურ საგნებისათვის მოწვეულნი არიან ახალი მასწავლებლები. დგება საოპეროკლასი. სწავლა დაიწყება ორშაბათს 19 იანვრიდან დროიდან.ჩვეულებრივი

## „მეოცნებე ნიამორები"

**წიგნი მესამე.**

**შინაარსი:**

გ. რობაქიძე—ვასაკა, ტ. ტაბიძე—ფალმან-ხათუნი, შ. ამირაჯიბი—მწვანე კაკადუ, ვ. გაფრინდაშვილი—ზამთრის დაისის გასვენება, კ. ნადირაძე—ყალბი ავტობიოგრაფია, ნ. მიწიშვილი—სამგლოვიარო მარში, რ. გვეტაძე—სევდის ფარმანდი, შ. კარმელი—ბოდლერის ოფორტი, ს. ცირეკიძე—მუზაიკის ღვთისმშობელი, ს. კლდიაშვილი—ევა ლაძარში, დია ჩიანელი—სევდიანი ფრაგმენტი, ვ. გაფრინდაშვილი—შენიშვნები ლირიკაზე, ს. ცირეკიძე—სათაური პოეზიაში და ლ. გუდიაშვილი—ყდა (ნიამორები).

რედაქტორი: **ვალერიან გაფრინდაშვილი.**

**მიხეილის ალკრე** პლეხანოვის ქუჩა, 91.

ორშაბათიდან იანვრის 12-იდან თბილისში ჯერ არ დადგმული **მხოლოდ მოზრდილთათვის**

## „ქალთა მოძულეთა კლუბი"

ორიგინალური კომედია 3 მოქ.

მთავარ როლებში ცნობილნი: ტატიან პავლოვა და მონახოვი მეტად პიკანტური და მახვილი.

**ნიაგორის ტალღების ნიმფა** მშვენიერი დრამა 2 ნაწ.

ინგლისური ბოქსი სასპორტო სანახაობით

დასაწყისი სალ. 5 ს.

**იანვარში გამოვა ყოველთვიური ჟურნალი**

## „შვიდლოსანი"

მონაწილეობენ: შალვა ამირაჯიბი, ა. არსენიშვილი, შ. აფხაიძე, ვალერიან გაფრინდაშვილი, ლადო გუდიაშვილი, რ. გვეტაძე, ნიკოლაი ევრეინოვი. პაოლო იაშვილი, პავლე ინგოროყვა. შ. კარმელი. ს. კლდიაშვილი, გ. ლეონიძე, ნ. ლორთქიფანიძე. ნინა მაყაშვილი, არჩილ მიქაძე, ნ. მიწიშვილი, კოლაუ ნადირაძე, გრიგოლ რობაქიძე, სერგეი სუდეიკინი, გალაკტიონ ტაბიძე, ტიციან ტაბიძე, ი. ყიფიანი, სანდრო ცირეკიძე და ლელი ჯაფარიძე.

ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოვიდა

[illegible]

**პოეზია:**

ი. გრიშაშვილი—„ერთგვირგვინოსანს".
ი. გრიშაშვილი—„ქორწილი ჩვენუბანში".
ს. შანშიაშვილი—„მოღალატე ლეილა".
ქ. მაყაშვილი—„ფისოს".
ს. აბაშელი—„მოქანცული თვალები".
ს. ფაშალიშვილი—„თოვლში".
ი. მჭედლიშვილი—„ქალაქი".
კ. ჭიჭინაძე—„დაღამება".
მარიჯან—„ყვავილნაში".

**ბელეტრისტიკა:**

ნ. ლორთქიფანიძე—„გაათხოვეს".
ნ. შიუკაშვილი—„დედის სურათი".
ლ. მეტრეველი—„შემოდგომის ფოთლებიდან".

**კრიტიკა:**

ივ. გომართელი—„გრიშაშვილის საიათნოვა".
ვახტანგ კოტეტიშვილი—„აზიისკენ".
მარუთა შუამდინარელი—„ახალი წიგნები 1919 წ."

**ფასი 15 მან.**

**ახლო მომავალში იხსნება**

## პირველი ქართული საბავშო ბაღი

(ქ-ნ მონტესორის სისტემით.)

მიიღებიან ორივე სქესის ბავშვები 3-დან 7 წლამდის. ჩაწერა და ცნობების მიღება მარიამ ერისთავთან მამადავითის ქ. № 36. ტელეფ. 21—23.

## მოითხოვეთ ყველგან

**უმაღლეს ხარისხს**

## კონიაკი და არაყი

## ი. მ. ლაზარევის

თბილისი კიროჩ. ქ. № 19.

305—20—16

**კინემო მინიონი**

ბარიათინის ქ. რუსთაველის პრ. კუთხე.

## სეზონის სიახლე

სულ ახლახანს **ინგლისიდან** მიღებული მხატვრული დრამა 5 მოქ.

## პატიოსნებისა და დიდებისათვის

**პირველად თბილისში**

სეანსების დასაწყისი: საღამოს 5 საათიდან.


## დამოუკიდებლობის ცნობის შედეგები

ძნელია გათვალისწინება ყველა იმ მოსალოდნელ შედეგებისა, რომელიც უნდა მოჰყვეს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებას ევროპის მიერ.

საერთაშორისო შედეგები უფრო გარკვეულია. დღეიდან საქართველო წევრია საერთაშორისო ოჯახის და ევროპის სახელმწიფოებს მასთან ყოველგვარი დამოკიდებულობის დაჭერა შეუძლია.

სახელმწიფოებრივ თავდაცვისათვის, თავის ფინანსიური საჭიროებისათვის, თუ რესპუბლიკაში წარმოების სხვა და სხვა დარგის განვითარების მიზნით, საქართველოს შეუძლიან ხელშეკრულებანი დასდოს ევროპის ქვეყნებთან. თუ აქამომდე ევროპის ქვეყნები დიდათ ერიდებოდენ ჩვენთან სერიოზული დამოკიდებულობის დაჭერას, ამის ერთი მთავარი მიზეზი იყო ის გარემოება, რომ ჩვენი ქვეყანა არ იყო ცნობილი, როგორც სა-

ამიერ-კავკასიის ბანკის გამგეობა, ადმინისტრაციული კომიტეტი და მოსამსახურენი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობებს, განსვენებულ ბანკის მოსამსახურის

ნიკოლოზ ილიას ძის [illegible]

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 15 იანვარს. მიცვალებულის გამოსვენება ქვაშვეთის ეკლესიიდან შემოსვენებული დღის 1 საათზე და დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი ყოველ დღე საღ. 6 საათზე.

თავზარ დაცემული ეკატერინე კონსტანტინეს მიქელაძის ასული დონაძისა, გრიგოლ ექვთიმეს ძე დონაძე შვილებით — ზინა და ლადოთი, სალომე ილია აბაშიძის ასული შამინაიშვილისა და კალისტრატე როსტომის ძე შამინაიშვილი აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებსა და ნაცნობებთ, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 12 იანვარს გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის ძმა, მეორესი ცოლის ძმა და დანარჩენთათვის ბიძა

პოლკოვნიკი ალექსანდრე კონსტანტინეს ძე

მიქელაძე

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე ქვაშვეთის ეკლესიაში
დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული
2713—1—1

## დ ღ ე ს:

ქ. ნოვოჩერკასკის აღების დროს ბოლშევიკებმა ხელთ იგდეს მოხალისეთა პოლკი და 8 ტანკი.

ბოლშევიკების ცნობით საარის ოლქში ცხრა საათის სამუშაო დღე შემოიღეს.

საფრანგეთის სენატი იანვრის 17-ს დაამტკიცებს პრეზიდენტს პუანკარეს მანდატს.

ბოლშევიკების ცნობებით იუდენიჩის ჯარს დენიკინის დასახმარებლად გაჰგზავნიან.

პოლონეთის მთავრობა აპირობს ლატვიის, ლიტვის, ესტონეთის, ფინეთის, უკრაინის და კავკასიის რესპ. წარმომადგენელთა კონფერენციის მოწვევას ბოლშევიკებიდან თავდაცვის მოსაწყობად.

—

### წ ე რ ი ლ ე ბ ი:

მეთაური — დამოუკიდებლობის ცნობის შედეგები.
გ. გვაზავა—საერთაშორისო ცნობა.
რ. ინგილო—დიდია ეს დღე.
ტ. მ.—რისთვის გვიცნეს?

ხელმწიფო.

ჩვენი საერთაშორისო სახის გამორკვევის შემდგომ ჩვენ გვიადვილდება ევროპის სახელმწიფოებთან ეკონომიური დაახლოვება. საზრიანი ეკონომიური პოლიტიკით ჩვენ შევიძლება [illegible]

ჩვენ შინაურს მუშაობაშიც, ჩვენი ხალხის ქონებრივ კეთილდღეობის შექმნის საქმეშიც დამოუკიდებლობის ცნობის ძალა, ჩვენ გვწამს, სასწაულს მოახდენს. სოფლად და ქალაქად, ყა- [illegible]

## საერთაშორისო ცნობა

[illegible] მორტყმული მუსულმანური ქვეყნებით საქართველო მაინც იბრძოდა. წარსულ საუკუნოებით დაგროვილი ეროვნული ენერგია მაინც აღმოჩნდა იმდენა, რომ საქართველომ გაუძლო ამ განუწყვეტელ ომს, მაგრამ იძულებული გახდა ბოლოს და ბოლოს ხელი გაეწვდინა რუსეთისათვის. ეს იყო იძულებითი გადახვევა ისტორიულ-ბუნებრივ გზიდან. რასაკვირველია, კულტურულად, ისტორიულად და გეოგრაფიულად საქართველოს არა ჰქონდა-რა საერთო რუსეთთან. ეს არა-ბუნებრივი კავშირი მალე გარდაიქცა დამონებად და საქართველო 117 წლის განმავლობაში მიჯაჭვული იყო რუსე იზე.

მსოფლიო ომმა დაამხო რუსეთიც და ოსმალეთიც. დამხობა ამ ორი იმპერიისა ერთნაირად საჭირო იყო საქართველოს განთავისუფლებლად და აღსადგენად. რუსეთის დამხობამ დაამსხვრია ის ჯაჭვი, რომლითაც საქართველო შებოჭვილი იყო, ოსმალეთის დამხობამ—გახსნა ისევ ის ისტორიული შარა-გზა, რომელიც გადაჭრილ იყო 1453 წელს ოსმალების მიერ. ამ ორი იმპერიის დამხობით საქართველო თვითონ წამოდგა ფეხზე, თავისთავად, ბუნებრივად, ლოლიკურ აუცილებლობით. საქართველო მოწყდა რუსეთს—შეწყდა ბუნების და ისტორიის წინააღმდეგი კავშირი.

საქართველო უბრუნდება თავის ძველ გზას, გადაჭრილს ამ ხუთი საუკუნის წინედ; ეს გზა მიმართულია ევროპის განათლების და კულტურისაკენ.

აი ეს არის ძირითადი იდეა იმ ისტორიულ გარდატეხისა, რომელიც მოხდა დღეს, პირველ დღეს მეოცე საუკუნის მეოცე წლისას,—იმ გარდატეხისა, რომლის ფორმალური მხარე არის ეს ცნობა საქართველოს დამოუკიდებლობისა.

რაც შეეხება პრაქტიკულ შინაარსს, ამ ცნობისას, ჩვენ იმას უფრო ადვილად გავიგებთ, თუ შევადარებთ ეროვნულ ორგანიზმს ინდივიდუალურ ორგანიზმის ზრდას და განვითარებას. ბავშვსა აქვს თავისი უფლებანი, მაგრამ არ შეუძლიან უფლებრივი მოქმედება. იგი უნდა გაიზარდოს, შეიგნოს თავისი უფლება და მოვალეობა, მოდონიერდეს, იმდენად განვითარდეს გონებრივად და ფიზიკურად, რომ თვითონ შეიძლოს შეგნება თავის უფლებისა და დაცვა თავის ინტერესებისა. მაშინ იგი არის სრულ-უფლებიანი. თითქმის იგივე ხდება ეროვნულ ცხოვრებაში: ერსა უნდა ჰქონდეს შეგნება თავის ეროვნულ მთლიანობისა და დააგროვოს საკმარისი მილიტარული ძალა. მხოლოდ მაშინ შეიძლება ცნობილ იქმნას იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო. საქართველომ თითქმის გამოიარა ეს ეტაპები: მან გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობა და თავგამოდებით შეუდგა სახელმწიფოებრივ აღნაგებას. ევროპის წინ იყო კაფიოდ გამოთქმული ეროვნული ნების ყოფა და ფაქტიურად უკვე შექმნილი სახელმწიფო. ამას უნდა მოჰყოლოდა საერთაშორისო ცნობაც.

რასაკვირველია, ჩვენი შინაური ზრდისა და განვითარების გარდა, ამ შემთხვევაში ჰმოქმედებდენ კიდევ ბევრი სხვა ძალებიც—დენიკინიც. დენიკინის დამარცხებამ და ბოლშევიკურ საფრთხის მოახლოვებამ, ეჭვი არ არის, ააჩქარა ეს პროცესსი. ბოლშევიზმის დამარცხება შეუძლებელია, თუ არა სამშობლოს იდეის გამარჯვებით და ეროვნულ სახელმწიფოს განმტკიცებით.

დღეს—ამ იდეის გამარჯვების დღესასწაულია.

საერთაშორისო ისტორიიდან ჩვენ ვიცით, რომ ახალ სახელმწიფოს ცნობას თან მოსდევს ტერიტორიალურ და ფინანსიურ საკითხების გადაწყვეტაც. როცა ცნობილ იყო ბულგარეთი, სერბია, მთაშავეთი—გარკვეულ იყო მათი საზღვრები და ფინანსიური დამოკიდებულება ოსმალეთთან. ჩვენ კი ჯერ არ ვიცით ბათუმის ოლქის, თორთუმისა და ლაზისტანის ბედი, არც ლორის და საინგილოსი. არ ვიცით აგრეთვე, როგორ დანაწილდა რუსეთის სახელმწიფო ვალი და რა პრინციპი დაედო საფუძვლად ამ დანაწილებას... უნდა ვიფიქროთ, რომ ამ მეტად მნიშვნელოვან კითხვებს „უმაღლესი საბჭო“ ალბად ჯერ სულ არ შეხებია. ალბად ამ გარემოებით აიხსნება ტერმინი „ფაქტიური ცნობა“, ტერმინი რომელიც მეცნიერებაში არც კი არის მიღებული. „ფაქტიური“ ცნობა მაინც არის ცნობა სახელმწიფოსი, როგორც საერთაშორისო პიროვნებისა.

საქართველო შევიდა საერთაშორისო ოჯახში, როგორც სრულ-უფლებიანი წევრი. აღსრულდა ნატვრა მრავალი მოდგმისა, რომელიც ვერ მოესწრო ამ ბედნიერ დღეს და სამარეში წაიღო თავის ხელში და გულის ტკივილი. აღსრულდა ნატვრა, იშლება საოცნებო პერსპექტივები მომავალი ლხენის, თავისუფალ შრომის და ეროვნულ განვითარებისა.

**გიორგი გვაზავა.**

## დიდია ეს დღე!

ყველანი ველოდდით, ხოლო არ ვიცოდით, ვერ ვგრძნობდით, რომ ასეთი მოულოდნელი სისწრაფით „თავს დაგვატყდებოდა“ ეს ბედნიერება!

ლაკონიურ რადიომ გვამცნო ეს ამბავი: სახელგანთქმული ლორდი კერზონი წინადადებით შევიდა პარიზის კონგრესსის უმაღლეს საბჭოში საქართველოს სახელმწიფოებრიობის შეწყნარებისათვის და ეს წინადადება საბჭომ ერთხმად მიიღო.

ამ ამბავმა აგვაღელვა, სიხარულის ცრემლებით აგვატირა...

„რაც უნდა იშვას, იშვება და რაც გასაზრდელია, გაიზრდება“, სთქვა ბიქტორ გიუგომ...

შეუჩერებელი პროცესსი ჩვენი სახელმწიფოს პოლიტიკური სუვერენიტეტის განმტკიცებისა უნდა მისულიყო თვის ლოლიკურ დამთავრებამდე, თავისუფალ ნებისყოფას განთავისუფლებულ ხალხისას აგრეთვე გულისყურით უნდა მოეპყრობოდნენ ევროპის დიდი სახელმწიფონი...

ზეიმი დღესასწაულისა მზის ნათელი სხივებით მოეფინება ჩვენს სამშობლოს! თავისუფლებისათვის თავგანწირულ მებრძოლთა აჩრდილნი განიხარებენ მათთან, ვინც მისდევდა მათ კვალს და ხორცი შეასხა მრავალ თაობათა მკრთალ ოცნებას...

1918 წლის 26 მაის ქართველმა ერმა განთავისუფლების აქტით ამცნო ქვეყანას თვის სახელმწიფოებრიობის ახალ ხანის დასაწყისი. მეორე წლის მიწურულში განათლებულმა ქვეყანამ თანხმობა გამოაცხადა ამაზე.

სუვერენულ სახელმწიფოთა ოჯახში საქართველო შედის როგორც თანაბარი წევრი!

დიდია ეს დღე!

**რ. ინგილო.**

## რისთვის გვიცნეს?

საქართველოსა და აზერბაიჯანის დამოუკიდებელ სახელმწიფოებრიობა იცნო ევროპის და მთელი კაცობრიობის მბრძანებლებმა.

კონფერენციის მიერ შექმნილი უმაღლესი საბჭო გამოხატავს ნების ყოფას არა მარტო ანტანტისა და ყოფილ მეომარ ერთ მხარისას, არამედ მთელ ეხლანდელ კულტურულ კაცობრიობისას.

მიუცილებელი ფაქტია, რომ ხსენებულ დაწესებულების რუსეთისადმი მიმართულ პოლიტიკაში და ჩვენი, ამიერკავკასიის პოლიტიკურ დაფასებაში ერთგვარი ცვლილება მოხდა, რომელიც შედეგია როგორც ჩვენი მუშაობისა შინ და გარედ, ისე ზოგ ობიექტიურ პირობებისა. რომ გვიცნეს დამოუკიდებლად და გვიცნეს სწორედ ეხლა და არა უფრო ადრე ანუ გვიან, ამას აქვს თავისი მიზეზი, რომელიც შემდეგში მდგომარეობს.

უცილობელია, რომ ქართველობამ 1917—1920 წლის მანძილზე აშკარად დავამტკიცეთ ყოველ მიუდგომელ მეთვალყურისათვის, რომ გვაქვს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის უნარი. ჩვენში ყველა პარტიები, თუმცა პროგრამულად ძალზე განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, მაგრამ სახელმწიფოებრივ საერთო პლატფორმაზე მათ შესძლეს ძალთა დიაგონალის დიდ ჯად გამოძებნა და ყველაზე უმთავრეს ეროვნულ მაღალ მიზნებისთვის დამფუძნებელ კრებაში ერთიმეორესთან მშვიდობიანად თანამშრომლობა. ჩვენში არა აქვს ადგილი ხალხის უკიდურეს ბანაკებად დაყოფას და პარტიულ ბანაკთა შორის დაუზოგავ ბრძოლას სამოქალაქო ომის სახით, როგორც ეს მოხდა რუსეთში. ასეთ მოვლენას ვერ ექნება ადგილი ჩვენში ვერც მომავალში, როგორც არ ჰქონია მას წარსულში. ქართველი ერი არ არის უკიდურესობის ფსიხიკის მატარებელი. სწორედ ამის გამო შევსძელით ოდნავ მაინც დაგვეცო შინაური მშვიდობიანობა და აგვეცდინა ხალხი ანარქიასა და ავანტიურას. მეორე მხრივ ბ. ოლ. უორდროპის ჩვენდა სასარგებლოდ მუშაობა ხომ სხვათა შორის ჩვენი უკვდავი შოთა რუსთაველის მიზეზითაა, რომელიც განასახიერებს მთელ თავის ხანას და ჩვენს წარსულის სიდიადეს. რვა საუკუნის შემდეგაც შოთასა და ძველ ქართველთა ამაგმა უებარი სამსახური გაუწია აწინდელ საქართველოს და ქართველ ერს. შოთათი მოხიბლული ინგლისელი ოლ. უორდროპი და მისი თანამოაზრენი მუშაობას არ ჰზოგავდნენ ჩვენი ქვეყნის სასარგებლოდ. 1914 წელს ლონდონში ვიყენისას მირველად ვიგრძენ მისტერ უორდროპის მომხიბვლელი შთაბეჭდილება როდესაც ის სიამოვნებით გვცნობდა ყოველ ახალს ქართველს ლონდონში. ჩვენ ხშირი სტუმრები ვიყავით მისი, და მას ყოველთვის მზად ჰქონდა რაიმე ახალი თარგმანი ქართულიდან ინგლისურად: ვისრამიანი, სიბრძნე—სიცრუე და სხ.

მაგრამ ანტანტასა და ძლიერთა ამა ქვეყნისათა სხვა მოსაზრებაც ჰქონდათ, რომ ეს ჩვენი ცნობა სწორედ ეხლანდელ მძიმე დროს მოახდინეს, როდესაც ჩვენს საზღვრებს ჩრდილოეთით ბოლშევიზმი უახლოვდება. უკანასკნელმა ისეთი ლოზუნგები წამოისროლა, რომელიც აზიის ერებს ბევრს ჰპირდება. ავღანისტანი და სპარსეთის ზოგიერთი მოღვაწენი, ოსმალეთიდან ცნობილი პირები ბოლშევიზმის საშუალებით ჰლამობენ ახალ მსოფლიო გაუქრობელ ანარქიის ცეცხლის ანთებას, რომლითაც იმედოვნებენ ზოგიერთ ძლიერ სახელმწიფოთა აზიიდან განდევნას შემდეგი დევიზით: აზია აზიელებისათვისო, თვით ბოლშევიკური რადიო არ ჰმალავს რომ ბოლშევიკები ავღანისტანშიაც მუშაობენ და ინდოეთშიაც. ინგლისური ცნობები ამას ადასტურებენ კიდეც. უეჭველია რომ ბოლშევიზმი სასტიკად დამარცხებული დაბოლოს დაიღუპება, მაგრამ სახიფათო ისაა, რომ წუთიერად გამარჯვებულმა დიდი ასპარეზი არ დაიკავოს და თავის უბედურებაში კაცობრიობის უდიდესი ნაწილი არ ჩაითრიოს. ამაზე არ შეუძლია არ იზრუნოს სწორეთ მათ, რომელთა ხელთაა მთელი კაცობრიობის კეთილდღეობა, ბედი და უბედობა. ვერც ინგლისი, ვერც იაპონია, ვერც ამერიკა და საფრანგეთი და იტალია ამ საკითხს გვერდს ვერ უხვევენ. ამიერკავკასია კი ხიდია ბოლშევიზმისათვის აზიისაკენ. ეს წინა კარები თუ შეიღო ბოლშევიზმა, იგი ადვილათ შეისეირნებს აზიის ფერად დარბაზებში ყოველივე არსებულ ძალთა და უფლებათა დასადრგუნავათ და ახალი იდეალთა და იმედებით.

საქართველოსა და აზერბაიჯანის—აშკარა ანტიბოლშევიკური სახელმწიფოთა გამაგრება და გამტკიცება ჰნიშნავს გზის დაკეტვას ბოლშევიკურ მეწყერისათვის. სწორეთ ამისათვისაა არის რომ ბოლშევიზმის მოახლოვებით დაჩქარდა ჩვენი აღიარებაც. საგულისხმოა რომ ამის ინიციატორათ გამოდის ცნობილი დარაჯი ინდოეთისა, რომლის საზღვრებს ჩრდილოეთით ფხიზელი თვალით ათვალიერებდა და ამაგრებდა კიჩენერთან ერთად—ლორდ კერზონი.

ცხადია რომ საზოგადო ინტერესით არა მარტო ჩვენი ინტერესით ხელმძღვანელობდნენ, როდესაც სწყვეტდნენ ჩვენი დამოუკიდებლობის ცნობას.

იგივე საზოგადო ინტერესითა ანტანტა და მისი მეთაურები ინგლის—ამერიკა უეჭველია შემდეგ ნაბიჯსაც გადადგმენ და საშუალებას აღმოუჩენენ საქართველოს რომ მან შეასრულოს ის თვისი მოვალეობა კაცობრიობის წინაშე, რომელიც ანტანტის აზრით მას აწევს კისერზე. საქართველოს აწინდელი მდგომარეობა, მისი პოლიტიკა და მის მიერ აღებული პოზიცია უცხოეთისადმი, კერძოდ ევროპისადმი, უკანასკნელისათვის მისაღები და მოსაწონისი და მერმისისათვის დასაცველად სასურველი ყოფილა. მის დასაცველად კი საჭირო იქნება საშუალებანი, რომელთა შეძენა საქართველოს განამტკიცებდა და გადააქცევდა ყოველგვარ ნაძალადევ ცვლილებათა უძლეველ სალ-კლდედ.

საქართველოს დღეს არა აქვს არც ტანკები, არც უებარი ჰაეროპლანები და მორტირები, რომელთა მნიშვნელობა თავდაცვის საქმეში აურაცხელი და დიდ მნიშვნელოვანია და რომელთა შეძენა საქართველოს მიერ ყველასათვის, ყველა კულტურულ სახელმწიფოთათვის სასარგებლო იქნება. გარდა ტეხნიკურ საშუალებათა შეძენისა, საქართველოს ესაჭიროება თავისუფალი ვაჭრობა უცხოეთთან და თავისუფლათ შემოზიდვა სანოვაგისა. პურის შოვნა და შემოზიდვა—საუკეთესო იარაღია იმ საქართველოს გასამტკიცებლათ, რომელიც ანტანტამ იცნო დამოუკიდებლათ საზოგადო ინტერესის თვალსაზრისით.

პურით უზრუნველყოფილი და იარაღით აღჭურვილი საქართველო ადვილად გაამართლებს ევროპის იმედებს და გაუწევს მას ისეთ სამსახურს, როგორსაც ვერ გაუწევს ევროპას ვერავითარი სხვა ძალა.

**ტ. მ.**

# უცხოეთი

## რ უ ს ე თ ი.

(საქართ. დეპ. სააგ.)

**რუსეთის ზარალი.**

„ვარშავსკოე სლოვოს“ მოჰყავს სტატისტიკური ცნობები, რომლებიც მას კოლჩაკის მთავრობისაგან მიუღია. ამ სტატისტიკის მიხედვით ომის გამოცხადებიდან რუსეთს დაუკარგავს მკვდრების, დაჭრილებისა და ავადმყოფობის სახით 35 მილიონი კაცი. ომამდის რუსეთში ერთ წუთში მცხოვრებლები მატულობდა 4 კაცით, ეხლა კი მცირდება წუთში 11-12 კაცით.

**მოსკოვი.** იანვ. 12. სამხედრო ცნობა. ნავრის რაიონში 1—12 იანვრამდის ჩვენ 2600 გამოქცეული მივიღეთ. რეჟეცის რაიონში მთელ ფრონტზე სასტიკი ბრძოლა სწარმოებს. გამარჯვება ცვალებადია. მოზორის რაიონში ადგილობრივ ხასიათის ჩვენთვის ასასრგებლო ბრძოლა სწარმოებს.

**ვლადივასტოკის ინცენდენტი.**

ვლადივასტოკის მოკავშირეთა სარდლობამ მოითხოვა, რომ რუსეთის ჯარებმა ქალაქის სიმაგრეები დასტოვონ. რუსეთის სარდლობამ ეს თავის მთავრობას აცნობა და უმაღლეს მმართველიდან მიიღო ბრძანება, რომ არავითარ შემთხვევაში ეს ბრძანება, რომელიც არღვევს რუსეთის უფლებებს, არ აასრულოს. მოკავშირეთა სარდლობამ მოთხოვნილება უკანვე წაიღო. მინისტრთა საბჭომ გენ. როზანოვს ასეთს სიმტკიცისათვის სამხედრო მინისტრის პირით მადლობა განუცხადა. (ბ. ქ.)

**ბრეშკო-ბრეშკოვსკის ქალის მოგზაურობა.**

როგორც „N. W. T.“ იტყობინება ბრეშკო-ბრეშკოვსკის ქალი რუსეთის რევოლიუციის ბებიად წოდებული, სერბეთიდან ვენაში ჩასულა. ავსტრიიდან ჰუნგრეთში ჰფიქრობს გადასვლას, სადაც დაუცდის რუსეთის მდგომარეობის გამორკვევას.

**იუდენიჩის არმიასთვის.**

სან—ფრანცისკოდან გავიდა დატვირთული გემები სამხედრო მასალებით გენერ. იუდენიჩის დასახმარებლად. საქონლის ღირებულობა ამ გემზე უდრის 3 მილიონ დოლლარს.

## საფრანგეთი

**კლემანსო.**

(ბოლშ. ცნობა).

**პოლდი.** იანვ. 11. პარიზის გაზეთების ცნობით, კლემანსო პრეზიდენტად არჩევის შემდეგ წავა შეერთებულ შტატებში საზავო ხელშეკრულებისა და ერთვნებათა ლიგის სასარგებლოდ ენერგიულ კომპანიის საწარმოებლად.

**საფრანგეთის სენატი.**

კვირას მოხდა საფრანგეთის სენატის წევრთა ორი-მესამედის არჩევა. გვგონია, რომ პოლიტიკური თვალსაზრისით პარტიათა შორის არავითარი უთანხმოება არ იქნება. პუანკარე ამოირჩიეს სენატორად მაასის დეპარტამენტიდან. ელზას ლორენმა ამოირჩია 14.. (გამოტოვებულია).

**უმაღლესი საბჭოში.**

კვირას საღამოს, უმაღლეს საბჭოს დახურული სხდომა მოხდა; მას დაესწრნენ მარტო მთავრობას თავმჯდომარენი.

**საფრანგეთის რწმუნებული.**

კლემანსომ მიიღო ახლად დანიშნული საფრანგეთის რწმუნებული მარსილი.

**გერმანიის ბოდიში.**

ბერლინიდან იუწყებიან: კანცლერმა ბაუერმა გერმანიის მთავრობის სახელით მოკავშირეთა კომისიის თავმჯდომარე ნისსელს თავისი მწუხარება განუცხადა და ბოდიში მოიხადა იმ ზარალის გამო, რომელიც მას ფონდერ-ჰოლცის ხელქვეითებმა მიაყენეს. გერმანია ამბობს, რომ იგი დამნაშავეებს დასჯის.

**სენატში.**

საფრანგეთის სენატი პუანკარეს მანდატის დამტკიცებისთვის უცდის 17 თებერვალს, როდესაც პუანკარეს პრეზიდენტობის მანდატი თავდება.

**ჰუნგრეთის დელეგატები.**

ჰუნგრეთის დელეგატებს ემცნოთ დღეს, რომ ხელშეკრულებას მათ კვირის დამლევს ჩააბარებენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ინგლისი

**შოტლანდიის მუშები.**
(ბოლშ. ცნობა).

**ბელდოსტროვი.** იანვ. 7. დამოუკიდებელ მუშათა პარტიის შოტლანდიის ორგანიზაციის კონფერენციის შესახებ მივიღეთ უფრო სწორი ცნობები, 280 დელეგატიდან 158 სურვილი გამოსთქვა მეორე ინტერნაციონალიდან გამოსვლისა და მესამე ინტერნაციონალში შესვლისა.

## ოსმალეთი

**მორიგება ოსმალეთთან**

პარიზიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ სტამბოლის პოლიტიკური წრეები ირწმუნებიან, თითქო უმაღლეს კომისრებს ეცნობებინოთ დიდი ვეზირისთვის, რომ ოსმალეთთან სამშვიდობო მორიგება მოკლე ხანში იქნება დამტკიცებული.

## იაპონია

**იაპონიის დახმარება.**

ციმბირის გაზეთების გადმოცემით ადმირალ კოლჩაკის ბანაკში მისული იაპონიის სამხედრო წარმომადგენელი ბარონი კატტო, რომელმაც ჟურნალისტებთან საუბართან განაცხადა რომ იაპონიის დახმარება ადმირ. კოლჩაკისადმი სრულიად უანგაროა. რუსეთი უნდა ბურჯი იყოს აღმოსავლეთისკენ ბოლშევიკების საბრძოლველად.

## პოლონეთი

**ძვირფას ლითონის შესყიდვა.**

როგორც „პტ. პარიზ“ იუწყება პოლონეთის სეიმმა მოისმინა მოხსენება საბიუჯეტო კომისიის პროექტი ხაზინის მიერ ოქრო-ვერცხლის შესყიდვის შესახებ. მედალები და ისტორიულ დირებულების ძვირფასი ნივთები ამ კანონპროექტის მიხედვით არ შეისყიდება. კერძო ყიდვა გაყიდვა ამ ლითონებისა აკრძალულია. ვაჭრობა მრეწველობის სამინისტროს უფლება აქვს ოქრო ვერცხლის შემოზიდვისათვის ნებართვები გასცეს.

**ტყვეების გაცვლა პოლონეთის და საბჭოთა რუსეთის შორის.**

რომის პაპის შუამავლობით ბოლშევიკები დასთანხმდნენ პოლონელთა ტყვეების გაცვლაში. პოლონელთა ტყვეების შორის იმყოფება მოგილიოვის არხი-ეპისკოპოზი რაპპი.

## პალესტინა

**„პალესტინაში მგზავრობა აკრძალულია“.**

ინგლისის აღმოსავლეთის ძალთა მთავარ სარდლის მიერ აკრძალულია მგზავრობა პალესტინაში.

## ბულგარეთი

**ბულგარეთის მდგომარეობა.**

ბულგარეთის დამფუძნებელ კრებამ ახალ საგარეო საქმეთა მინისტრს დიმიტრიევს, მიანდო სასწრაფო ღონისძიებათა გამონახვა სახელმწიფოს უზრუნველსაყოფად. განზრახულია საგანგებო დანიშნულების ჟანდარმერიის შემოღება. აგრეთვე მუნიციპალურსა და სოფლის არჩევნების თავისუფლად მოწყობა. ამას წინედ როცა დამფუძნებელ კრების სხდომაზე რკინის გზის მუშები დაემუქრნენ გაფიცვით თუ მათ ჯამაგირს არ მიუმატებენ, სტამბულისკმა განაცხადა რომ მათ წინააღმდეგ გადამწყვეტ ზომებს მიიღებს.

კაბინეთის დადგენილებით პარტიის უმრავლესობით დამფუძნებელ კრებაში გრძელდება ბულგარეთის ომში დამნაშავეთა დატუსაღება, გარდა როდოსლავოვის კაბინეთის წევრთა შეპრობისა გაცემულია ბრძანება ყველა ყოფილ დეპუტატების შეპყრობისთვის, რომელთაც თავიანთი მიზნებისთვის ძალად ჩაითრიეს ბულგარეთი ომში, და ის ჟურნალისტებიც, რომელთაც დიდი პროპაგანდა ჰქონდათ ბულგარეთის შეიარაღებულ შეტაკების ჩასარევად და ყველა იმ გავლენიან პირებისაც, რომელთაც თავიანთი ძალა გამოიყენეს ამავე მიზნით და ბოლოს იმ მოხელეებისაც, ვინც ავიწროებდა ტყვეებს და მოსახლეობის ოკუპაციის მექარით. თვითონ როდოსლავოვი ამ ჟამად იმყოფება ბერლინში. დანარჩენ კაბინეთის წევრთაგან შეპყრობილ არიან: პაპჩევი, ხისტოპოპოვი, ექ. დინჩევი, ლიბერალები ტონჩიევი და ბაკალოვი სტამბულელები: დობრი პეტროვი და კოზნიცკი, გენადიევისტები: აპოსტოლოვი და გენერალი ნაილონოვი. ამათ შორის შეპყრობილ იყო პალატის თავმჯდომარის ამხანაგი ექ. მონჩილოვი, გენერალი მიხეილ სავოვი, გენ. ალექსანდრე პროტოგეროვი: დეპუტატები, გეორგიევი და პროვოდოლიევი გაზ. „დნევნიკ“ და „უტრო“-ს რედაქტორი დამიანოვი, ჟურნალ „კამბანა“-ს რედაქტორი სტანჩევი. მოთხოვნილია აგრეთვე ექს—მეფის ფერდინანდის და მის მთავარ სარდლის გენ. ჟეკოვის მიცემაც“.

## ირლანდია

**მდგომარეობა ირლანდიაში.**

გაზ. „სეკოლო“-ს ლონდონიდან ატყობინებენ, რომ ირლანდიაში აგენტების ხოცვა ჟლეტაა. მთავრობა ენერგიულად სდევნის ასეთ გამოსვლებს. სამხედრო ძალებს დავალებული აქვთ ზომები მიიღონ თვით ჯაშუშობის ავტომობილების წინააღმდეგ. რეპრესიებია მიიღწყეს ზომების ნაციონალისტების წრეებამდისაც კი. ქრისტეშობისთვის 16, 17-ს გაძლიერებულ ჯაშუშობებით და ტყვიის მფრქვეველებით იყო გარემოცული გაზ. „ფრიმონ ჟურნალ“-ის რედაქცია.

რედაქციის გაჩხრეკის დროს ვერაფერი ვერ აღმოაჩინა ექსპედიციამ იპოვნეს მხოლოდ მასალები და ორი კაცი შეიპყრეს. ქრისტეშობისთვის 16-ს სინფეინელნი დაეცხენ ორ სადგურს, სადაც ხელში უნდა ჩაეგდოთ ის იარაღი, რომელიც ინგლისიდან იყო მიღებული დუბლინის გარნიზონისთვის. სინფეინელების თავდასხმები ძალიან ხშირია. კათოლიკურ ირლანდიაში დიდ პროპაგანდას ეწევიან ირლანდიის ნაციონალისტი დე-ვალერის ქრისტეშობისთვის დასაწყისში გამოუვა სესხი „ირლანდიელი რესპუბლიკის“ ორ მილიონის გირვანქა სტერლინგის სახით—დე-ვალერის ნივთ-ჯ პერსისთვის განუცხადებია რომ გამოცემულ სესხზე ხელის მოწერა მიიღება იახვრის ნახევარში. მხოლოდ ხელის მომწერთა ინტერესი უფრო მორალური იქნება, ვიდრე მატერიალური, რადგან ხელის მომწერნი სესხს ხელს მოაწერენ მხოლოდ მაშინ თუ ცნობილ იქნება ირლანდიის დამოუკიდებლობა.

## გერმანია.

**ყოფილ კაიზერის და კრონპრინცის გაცემის მოთხოვნა**

„ეკო დე-პარი“ იტყობინება, რომ ლონდონში, უკანასკნელი შეხვედრის დროს, ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებს გადაუწყვეტიათ მოითხოვონ ყოფილ კაიზერის გაცემა ხელშეკრულობის ძალაში შესვლისთანავე. საფრანგეთი მოითხოვს კრონპრინცის გაცემასაც.

**გერმანიის პრეზიდენტის კანდიდატი**

გერმანიის პრეზიდენტობის კანდიდატათ, სხვათა შორის, ასახელებენ ადოლფ დამაშკეს, რომელსაც საზღვარგარედ არ იცნობენ, მაგრამ გერმანიაში კი კარგად ცნობილია. დამაშკე არის აგრარულ არა სოციალისტურ რეფორმების ძომხრეთა ლიდერი. დამაშკემ ამ რამდენიმე ხნის წინად ბერლინში დიდი საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა. დამაშკემ დიდი ყურადღება მიაქცია გერმანიის მიწების უცხოელთა ხელში გადასვლას და აღნიშნა, რომ მთავრობამ თუ ამას ახგარიში არ გაუწია, მაშინ რეფორმების მოხდენა შეუძლებელი შეიქნება.

(საქ. დეპ. სააგენტო)

**ვილჰელმი.**

„ბერლინერ ტაგებლატის“ ცნობით ექს - იმპერატორ ვილჰელმს მიზნათ ჰქონია საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შემდეგ ჰოლანდიაში შეკრიბოს ჰოჰენცოლერნის გვარის ყველა წევრები. ამ მოწვევას მიზნათ აქვს ზოგი, კერძო საკითხების მოწესრიგება და არა რაიმე პოლიტიკურ ხაზის გამორკვევა ჰოჰენცოლერნების გვარისა.

**ბავარიის სახალხო პ რტიაში**

ბავარიის კათოლიკურ სახალხო პარტიის მიუნხენის კრებაზე გავიდა ბავარიის გლეხთა ლიდერის დ—რ ჰეიმის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია: გამოეყონ გერმანიის ეროვნულ კრების კათოლიკურ ფრაქციას ერცბერგერის მიერ შტუტგარტში ნათქვამ სიტყვის შემდეგ, რომელიც გერმანიის გაერთიანებას მოითხოვდა. ბავარიის ხალხის უთანხმოება გერმანიის ახალი კონსტიტუციისა ნათელი იყო თავიდანვე, მაგრამ ამ ბოლო დროს ეს უთანხმოება უფრო გაიზარდა. კათოლიკური გაზ. „ბაიერიშე კურიერი“ ხაზს უსვამს იმას, რომ ძველი კონსტიტუცია პრუსიის პარტიკულიარისმსა და გერმანიის სხვა სახელმწიფოთა შორის მოხერხებულ კანაობაში მდგომარეობდა, ახალი კონსტიტუცია აღადგენს პრუსიის ჰეგემონიის ძველ ფორმას და სრულებით სპობს ფედერალიზმის პრინციპებსო. ბავარიის კათოლიკურმა პარტიამ გლეხთა კლასის აზრს ანგარიში უნდა გაუწიოს. ამის გამო მიტინგზე გავიდა გერმანიის გაერთიანების წინააღმდეგი რეზოლიუცია. ბავარიის გაზეთები სხვა ქვეყნებს აფრთხილებენ, რომ მათ არ იფიქრონ, თითქოს ბავარიის კათოლიკებს ბავარიის გერმანიიდან გამოყოფა უნდოდათ, პირიქით, იყო შემთხვევა მიუნხენში, როდესაც მიტინგმა საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა რომელიმე სახელმწიფოს გერმანიიდან გამოყოფის წინააღმდეგ. იმავე დროს დ-რ გეიმი დიდი ხანია, რაც წინააღმდეგი იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნისა ბავარიის ავსტრიასთან კავშირის შეკვრით. ჩრდილოეთ გერმანიის გაზეთები ბეჭდავენ შემდეგი შინაარსის წერილებს: დემოკრატიული პარტია მზათ უნდა იყოს, რომ მთავრობა შეადგინოს მემარჯვენე პარტიების წარმომადგენლებთანო.

უკვე სჩანს ძლიერი ოპოზიცია მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალები მუშათა საბჭოების კანონის შესახებ, რომლის მესამე წაკითხვა აუცილებელია. სამრეწველო ფირმების წევრები ენერგიულ პროტესტს აცხადებენ ზოგ დადგენილების წინააღმდეგ, განსაკუთრებით ბალანსების დაქვემდებარების წინააღმდეგ... (დამახინჯებულია). რადგანაც ამ გვარ ზომას შეუძლია მათ ქარხნებში მუშაობის შეწყვეტა მოყვეს. მემარცხენე რადიკალები კანონის ამგვარ სახით დადასტურებაში მუშათა ინტერესებს საკმაო დაცვას ვერ უყურებენ. მესამე კითხვის დროს მოსალოდნელია მუშათა გაფიცვა მოხდეს. კათოლიკური გაზეთი „გერმანი სწერს: თუ რკინის გზებზე გენერალურმა გაფიცვამ იფეთქა ჩვენ არსებისთვის ბრძოლის მიწყელი ფაქტის წინაშე დავდგებითო. რკინის გზის მოსამსახურეთა მდგომარეობა მძიმეა. მათი მოთხოვნილებანი შეძლებისდაგვარად უნდა დაკმაყოფილდეს. საჭიროა არ არის შევეცადოთ შიმშილის ზარბაზნებით დაკმაყოფილებას.

## საარჩევნო მანქანა

რუმინიაში არჩევნები მოხდა ახლად გამოგონილ საარჩევნო მანქანით. ამ მანქანის წყალობით ხშები 6 საათის განმავლობაში მისცა 10,000 ამომრჩეველმა მანქანა იმყოფება საგანგებო ოთახში ჰმოქმედობს მხოლოდ დახურულ კარებში როდესაც კი ამომრჩევი მიდის ოთახში, კარები ავტომატიურად იხურება. ყოველ კანდიდატს საშუალებას აძლევს სრულიად ადვილად მისცეს ხმა ერთი ღილით, რომელიც იმყოფება იმ ფიცარზე, სადაც უჩვენებს მის სახელოვან პარტიას, (სიმბოლიურ ნიშანი კიდევ წერა-კითხვის არა მცოდნეთათვის) მას შემდეგ, რაც ამომრჩევი დააჭერს ხელს ამ ღილს კარები ისე ავტომატიურად იხსნება და გამოდის. არჩევნების შემდეგ, არჩევნების კომისიის თავმჯდომარე გასაღებით აღებს ამ მანქანას და სთვლის ისე ხმის რაოდენობას.

## საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული

**ქართულ კლუბში.**

დიდებულ საზეიმო სამხიარულო წარმოადგინდა ქართულ კლუბის დარბაზში 12 ქრისტეშობისთვის ღამით. კლუბის შესავალი ეროვნულ ალმებით და ღერბით იყო მორთული. თვით დარბაზი სადაც განზრახული იყო ვახშამი ფერად ფარნებით და ეროვნულ ალმებით იყო მორთული. სრულ 11 საათზე მქუხარე და ტაშის და ვაშას ძახილით შემობრძანდა კლუბის დარბაზში ჩვენი ძვირფასი გუშაგი, დამოუკიდებლობის ცნობის პირველი მახარობელი მისტერ ოლივერ უორდროპი ინგლისის სამხედრო რწმუნებულ მაიორ დეილისთან ერთად. გარს ეხვივნენ დამფუძნებელ კრების წევრნი და კლუბის მამასახლისთა მთელი შემადგენლობა. ორკესტრმა შეასრულა ინგლისის ჰიმნი. ამავე დროს დარბაზში მობრძანდენ ჩვენი მთავრობის წევრნი გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ბ. ქარციეაძე, იუსტიციის მინისტრი ბ. არსენიძე მიწად-მოქმედების მინისტრი ბ. ხომერიკი, დამფუძნებელ კრების თავმჯდომარის ამხანაგები ე. თაყაიშვილი და ალ. ლომთათიძე, სამხედრო სამინისტროს წარმომადგენელნი, მინისტრთა ამხანაგები, სახალხო გვარდიის წარმომადგენელნი ბ. ჯუღელის მეთაურობით, დამფუძნებელ კრების წევრნი ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი და ყველა საზოგადო და საკულტურო საგანმანათებლო დაწესებულებათა წარმომადგენელნი. მისტერ ოლივერ უორდროპს მხარს უშვენებდენ ერთის მხრივ ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი და მეორეს მხრივ ბ. ლომთათიძე. თამადად არჩეულ იქნა ბ. ჩხიკვიშვილი რომელმაც პირველი სადღეგრძელო მიირთო საქართველოსი რომელიც უმაღლეს კავშირმა უკვე იცნო დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. ორკესტრმა შეასრულა ჰიმნი: შემდეგ წარმოითქო სადღეგრძელო ჩვენი ძვირფასი მისტერ ოლივერ უორდროპისა როგორც გულწრფელ და ძვირფას ქომაგისა ჩვენი დამოუკიდებლობის. მთელი საზოგადოება ფეხზე ადგა და ვაშას ძახილით შეხვდა შემდეგ წარმოითქო სადღეგრძელოები ჩვენი მთავრობის დამფუძნებელ კრების ლაშქრის და ძვირფას სტუმრების. ნადიმმა ღამის 4 საათამდე გასტანა. მისტერ უორდროპი დიდი ოვაციებით გააცილეს.

**სასახლეში.**

გუშინ ნაშუადღევის 1 საათზე მთავრობის სასახლეში მიულოცეს ყველა უცხო სახელმწიფოს წარმომადგენლებმა აზერბაიჯანის და სომხების დიპლომატიურ რწმუნებულებმა საქართველოს კათალიკოსმა ლეონიდმა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარემ ა. ი. ხატისოვმა სამღვდელოებით, ჩეხო-სლოვაკების „სვატოშის“ წარმომადგენელმა, სენატის თავმჯდომარემ, ფრანგების სამღვდელოებამ, ო. ვ. თუმანიანმა, ი. მ. დოლუხანოვმა „სლოვოს“ რედაქტორმა, შორი აღმოსავლეთის ქართველობის წარმომადგენელმა და ყველა საზოგადო კულტურულ გამანათლებელ საზოგადოების წარმომადგენლებმა.

# ახალი ამბები

**საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის შესახებ მოსალოცი დეპეშები.**

რედაქციამ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო მიიღო შემდეგი დეპეშები:

**სვანეთიდან:** „დღევანდელ დღეს მთელი თავისუფალი სვანეთი გულწრფელად ესალმება ეროვნულ პრესას ქართველი ხალხის გამარჯვების გამო, უსურვებს საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცებას“.

**ნ. მარგიანი**

რედაქციამ მიიღო აგრეთვე დეპეშები: აფხაზეთის ერ.-დემოკ. პარტ. კომიტეტისაგან, ზესტაფონიდან, სენაკიდან, ზუგდიდიდან, საზოგ. „შევარდენისაგან“ და სხ.

**მოლოცვა ოვანეს თუმანიანისაგან.**

გუშინ ჩვენს რედაქციაში პირადი მობრძანებით საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების დღესასწაული მოგვილოცა სომხეთის უდიდესმა პოეტმა ოვანეს თუმანიანმა.

**მისალმების დეპეშები:**

საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების გამო საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ შემდეგი დეპეშები მიიღო:

**ქართველი მუსულმანობა** მთელ ქართველ ერთან ერთად ზეიმობს მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას. გვწამს, რომ მალე დადგება სანატრელი ჟამი ბათომის ოლქის დედა სამშობლოს, საქართველოსთან შეერთებისა. ხელოვნურად მოწყვეტილნი დედა სამშობლოსთან მოუთმენლად მოველით იმ სანატრელ დროს. თქვენი ომხნელი საქმიანობა და სამშობლოსადმი თავდადება თავდებია იმისა, რომ ეს ჟამი შორს არ არის.

სამუსულმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისა და მეჯლისის თავმჯდომარე **მემედბეგ აბაშიძე.**

**ბათომის ქართველ მუსულმანთა და ქართველ ქრისტიანეთა ეროვნულ საბჭოსაგან.**

მოკავშირეთა მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის გამო აღფრთოვანებით მოგესალმებით თქვენ ჩვენი საყვარელ სამშობლოს ღირსეულ ბელ დს, რომელსაც საქართველოს სახელმწიფოებრივი ხავი გამოცდილი ხელით ზღვის აბობოქრებულ ტალღებიდან მიჰყავს საიმედო ნავთსადგურისაკენ. ბათომის ქართველთა სახელით, განურჩევლად სარწმუნოებისა, გისურვებთ ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი სამშობლოს საკეთილდღეოდ. გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ საქართველოსაგან ხელოვნურად მოწყვეტილი მისი განუყოფელი და განუყრელი ნაწილი ბათომის ოლქი მალე შეუერთდება დედა სამშობლოს. გაუმარჯოს გაერთიანებულ დამოუკიდებელ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის სახელოვან მთავრობას.

ამის გარდა მთავრობის თავმჯდომარეს აუარებელი მისალოცი დეპეშები მოსდის საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან და სხვა და სხვა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი დაწესებულებიდან.

**მთავრობის თავმჯდომარესთან.**

გუშინ სასახლეში მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენ საფრანგეთის სამხედრო მისიის მეთაური ნონაკური, რომელმაც მიულოცა მთავრობის თავმჯდომარეს უმაღლეს საბჭოს მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება. გუშინვე მთავრობის თავმჯდომარეს წარუდგენ სომხეთის მწერალი და მოღვაწე ოვანეს თუმანიანი და თბილისში მყოფი სხვა და სხვა მისიათა წარმომადგენელნი ელინთა საბჭოს პრეზიდიუმის წარმომადგენლნი. სასახლის კარებთან ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული.

**ა. ხატისოვის ჩამოსვლა.**

გუშინ ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე ა. ხატისოვი.

## მთავრობაში

**ქრისტეშობისთვის 30 ს სხდომა**

მთავრობამ დაადგინა:

**საეროთო სამკუ ნალო დაწესებულებათა შტატები**

საერობო სამკურნალო დაწესებულებათა ახალ შტატების პროექტი, იმ სახით, რა სახითაც წარმოდგენილია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ, მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**ცენტრალურ სასურსათო საბჭოს გადაცემა ერობათა კავშირისათვის**

ყოფილ ცენტრალურ სასურსათო საბჭოს საქმეების გაძღოლა ჰაარდეპა ერობათა კავშირს იმ წესით, რა წესითაც ხსენებული საქმეები ჩაბარებული ჰქონდა აღნიშნულ სასურსათო საბჭოს (სახელდობ მთავრობის 1919 წლის 13 აგვისტოს დადგენილებისა მუხ. 6 ლიტ. ა.) ვიდრე ეს საკითხი გადაჭრილ იქნება საკანონმდებლო წესით.

**ფოსტის ახალი ნიშნები**

ფოსტის ახ მანეთიანი ნიშნები მოწონებულ იქნას.

**სასიმღერო გადასახადების გადიდება**

მოხსენება მოწონებულ იქნას დაარსებული სასიმღერო გადასახადი გადიდდეს ფინანსთა მინისტრის მიერ ნავარაუდევ ზომამდე.

**სასამართლოს დაარსება ქუთაისში**

ქ. ქუთაისში დაარსდეს მე-2-ე ნარაიხის სასამართლო. პროექტი შტატებით მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

**იუსტიციის უწყების შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეთა სრული ლიკვიდაცია**

დაევალოს იუსტიციის მინისტრს:

იმ მოხელეთ, რომელნიც თანახმად ქრისტეშობისთვის 9-ს დეკრეტისა შტატს გარეშე იქნებიან დატოვებული ა/წ. გიორგობისთ. და ქრისტეშობისთვის ჯამაგირები მიეცეთ პირველ გიორგობისთვემდე არსებულ ნორმით.

ხსენებულ მოხელეთა სრული ლიკვიდაცია მოხდეს არა უგვიანეს 1920 წლ. იანვრისა.

**სესხი ქ. ლანჩხუთის და ოზურგეთის ერობას**

ქ. ლანჩხუთის თვითმართველობისა და ოზურგეთის ერობისათვის გაცემული სესხის ვადათ აღიარებულ იქმნას 5 წელიწადი.

სესხი იქმნეს უპროცენტო მხოლოდ იმ პირობით, რომ ფულის ხარჯვა ხდებოდეს მიწად-მოქმედების მინისტრის კონტროლის ქვეშ.

**გზათა სამინისტროში**

**ნატანებ-ბათუმის რკინის გზის ხაზზე**

რესპუბლიკის სახაზინო რკინის გზის მილიციის უფროსმა ვრცელი მოხსენება წარუდგინა გზათა სამინისტროს ბათუმ-ნატანების რკინის გზის ხაზზე შექმნილ მდგომარეობის შესახებ.

ხსენებულ ლიანდაგზე გახშირებულია სხვადასხვა ბოროტ-მოქმედება, განსაკუთრებით საბარგო მატარებელში. ხშირად ბოროტ-მოქმედნი ტვირთის სახით გზავნილ ცარიელ ყუთში ათავსებენ ცოცხალ ადამიანს—თავიანთ ამხანაგს, რომელიც გზაში ყუთიდან ამოდის, საბარგო ვაგონს ქურდავს, შემდეგ თან წამოღებულ სპეციალურ ხელსაწყოებით ვაგონს სტეხენ და ხაქურდალ საქონელით გზაში იპარება; არის შემთხვევები, როდესაც ტვირთის სახითვე გასაგზავნათ ჩაბარებულ ყუთში მოკლული კაცი აღმოჩენილა, ან და ყუთი სრულიად ცარიელი ყოფილა, ან გავსილი ყოფილა ქვებით, თუ სხვა გამოუსადეგარ საგნებით. ასეთი შემთხვევები ხაზინას დიდ ზარალს აყენებს, რადგან ასეთი „ტვირთები“, რაკი მათი მიმღები არავინ არის, საწყობებში დიდი ხნობით ინახება, რაც ხარჯს იწვევს.

ყველა ამისგვარ და სხვა ბოროტმოქმედებასთან ბრძოლა ბათუმ-ნატანების რკინის გზის ხაზზე ძნელდება. ამის გამო ადგილობრივი, ბათუმის ოლქის მმართველობის ადმინისტრაცია—მილიცია შესაფერისად ვერ აწარმოებს ბრძოლას ზემოხსენებულ ბოროტ-მოქმედების წინააღმდეგ, ხოლო სამტრედიიდან მილიციელთა დაბარება კი მიზანს ვერ აღწევს, რადგან ბოროტმოქმედნი უკვე ასწრებენ მიმალვას და მათი აღმოჩენა ძნელდება. ამის გამო სახაზინო რკინის გზათა მილიციის უფროსს საჭიროდ მიაჩნია შედგეს ბათუმ-ნატანების ლიანდაგის ცალკე სამილიციო შტატი, რომლის პროექტიც მოხსენებას თანა აქვს დართული. პროექტით განზრახულია ხსენებულ ლიანდაგის მილიციის 1 უფროსი, 1 თანაშემწე, 1 საქმის მწარმოებელი, 1 მოამბე, 8 უფროსი და 11 უმცროსი მილიციელი.

## სხვა და სხვა ამბები

**საზეიმო პარაკლისი.**

დღეს სიონის საკათედრო ტაძარში წირვის შესრულების შემდეგ დღის 12 საათზე მისი უწმინდესობა, კათოლიკოზ-პატრიარქი ლეონიდი თბილისის სამღვდელოების მონაწილეობით ლიტანიით წარიმართება თავისუფლების მოედანზე, სადაც გადაიხდის საზეიმო პარაკლისს საქართველოს დამოუკიდებლობის დამტკიცების გამო.

**ქურდების ბრბოს აღმოჩენა.**

უკანასკნელ დროს ქალ. თბილისში გაჩნდა ქურდების ბრბო, რომლის წევრების უმეტესობა აღმოაჩინეს მეოთხე რაიონის კომისარმა და მისმა თანაშემწემ. ზემოხსენებული პირნი არიან: მამადი ჯაფარა მამედ ოღლი, მირჰუსეინ ბირ მამედ-ოღლი, ასან მამედ ოღლი, მამედ ალი ალაჰკარ-ოღლი, მამედ მახმუდ-ოღლი, ჰუსეინ აბას-ოღლი, აბას კული ალაჰკერ-ოღლი, აბასა კაფარ-ოღლი, სისაკ ჩაჩიანცი, სოინა ალი-ოღლი და ერვანდ ბალიროვი. ყველა ესენი პირველ საგუბერნიო ციხეში მოათავსეს.

## სამხატვრო ქრონიკა

**ქართული სამუსიკო საზოგადოება**

11 იანვარს გაიხსნა ქართულ სამუსიკო საზოგად. გამგეობის კრება კ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. კრებამ დაადგინა საქართველოს რესპ. სწავლა-განათლების სამინისტროს და თბილისის კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენლებთან ერთათ გამართოს თათბირი ქართულ კონსერვატორიის დაარსების შესახებ საქართველოში, საგანგებო სხდომა დანიშნულია კვირას 18 იანვარს 12 საათზედ ქართულ სამუსიკო საზ. სკოლაში პეტრე დიდის ქუჩა № 8-ში მეორე სართულში. ქართული სამუსიკო საზოგადოება სთხოვს იმ პირთ, ვისაც კი მოეპოვებათ განსვენებულ კომპოზიტორ ნიკო (კოკო) სულხანიშვილის ნაწარმოები ეროვნული თუ ეკლესიური კეთილ ინებონ და მოიტანონ ზემოხსენებულ საზოგადოების სკოლაში პეტრე დიდის ქუჩა № 8 საზოგადოე

**დრამატიულ საზოგადოების სარევიზიო კომისია**
აუწყებს ხსენებულ საზოგადოების წევრებს, რომ ორშაბათს, 19 იანვარს, დილის 11 საათზე ქართულ კლუბის დარბაზში დანიშნულია წევრთა

**საზოგადო კრება**

განსახილველი საგნებია:
1) მიღება ახალ წევრთა
2) მოხსენება სარევიზიო კომისიისა
3) არჩევნები ახალ გამგეობისა
4) მიმდინარე საკითხები.

კრება შესდგება დამსწრე წევრთა რაოდენობის მიუხედავად. 332 5—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბას მიზნათ აქვს დასახული ხსენებული კომპოზიტორის თხზულებები შეკრიბოს და გამოსცეს.

# თეატრი

**დღეს:**

**სახელმწიფო თეატრში** — „ფრა დიავოლო“.

„ტარტო“-ს დრამა — „ოკეანეს გადაღმა“.

# უცხოეთის პრესა საქართველოს შესახებ

**იტალიური გაზ. საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ.**

იტალიურ გაზ. „La Tribuna Coloniale“-ში 3 წერილი დაიბეჭდა საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრეთა შესახებ. უკანასკნელი წერილი ეხება საქართველოს ქვა ნახშირის და წყლის ძალების შესახებ ელექტრონის ენერგიის გამოსაყენებლათ.

**შვეიცარიის ჟურნალი საქართველოს მეღვინეობის შესახებ.**

„ჟურნალ დ' ორიან“-ი საქართველოს მეღვინეობის შესახებ სწერს:

„საქართველოში მეღვინეობა უაღრესათ განვითარებულია, მაგრამ უკანასკნელ წლებში ჩამოქვეითდა, ამ ჟამათ კი ისევ აღორძინების გზაზეა დამდგარი. ვენახებს საქართველოში ამ ჟამათ უჭირავს 65,500 ჰექტარის სივრცე. წლიურათ ღვინის წარმოება უდრის 15 მილიონ ჰექტოლიტრს. ამას გარდა 8 მილიონ ჰექტოლიტრ ალკოჰოლს ამუშავებენ ღვინის ნაწურისაგან. თითქმის მთელი ალკოჰოლი ერთიანათ და ღვინის ნახევარი ბაზარზე გადის.

**შვეიცარიელნი საქართველოს შესახებ.**

„ჟურნალ დე ჟენევ“-ის გადმოცემით ქ. ჟენევაში გამოსულა ემ. კიუნის წიგნი სათაურით „თავისუფალი საქართველო“.

გაზეთი ამის შესახებ სწერს: „ემ. კიუნი გვაძლევს ჭეშმარიტ წარმოდგენას საქართველოს სახელმწიფოს არსებობის შესახებ. წიგნის დასკვნითი კარს, რომელშიც ავტორი ეხება საქართველოს და შვეიცარიას, ჩვენმა დიპლომატებმა და კომერსანტებმა უნდა დიდი ყურადღება მიაქციონ. ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ გამოკვლევას“.

# პატარა ფელეტონი

## თამარ მეფის სურათი

თამარ, შენ გიცნობ განცხადებულად! მის ძოწეულნი[1] ვარდ-გაწეულნი[2] ღაწვნი[3] მწყაზრობენ[4] განბრწყინვებულად. დრუნგილის[5] ფიცრად, მტკიცედ საფიცრად, შუბლი მისი სჩანს შუქნაელვარე. ნებიერ პირსა მზ[ე]დ დანამჭირსა ჭშვენის ნარგიზთა განაციხკრევად. ა[6]. გრძელობს ყელი დაუნაყელი,[7] ბროლ-ვარდობს ყელი მჭვრეტელთ შუქმფენი. ღაწვთა არესა, შუქნი მთვარესა, შელნისა ტბანი სდგანან მორევად.[8] აჰა ინდონნიც, შამბნარის[9] სახით რომე სდგეს მცველად ალაღებულად[10] (ჩახრუხაძე). ვარდზედ გაშლილი ყორნისა ბოლო! (შავთელი). ატევრებს[11] თმათა სულისა დგმათა, ახელებს[12] მნახველს. სტურფობს მიხედვა: წამწამთა ხვრანი[13] ვისკენაცა ჰქმნის, ჰყვის ნატირებად. ვიშ, ჰაერპირი მნათობთა დარი, მზე დაუვალი, შუქმომფინარი! სული ვის შერჩა შენსა მჭვრეტელსა?! (ჩახრუხაძე).

თუ გიქო ტანი, არ დამაჩნდების ცუდნამჭერვებად.

აჰა ვარდ-გული, ხე ედემს რგული, მწყაზარი, ლაღი! ლელწამსა ტანად, საროსა ნაქვთად მიმსგავსებული განსაცვიფრებლად (ჩახრუხაძე). ნაძვი ლიბანით,[14] სარო ერმონით[15], ფინიკად ზრდილი (შავთელი).

გაძრცვილსა ტანსა ემოსნეს ყარყუმნი
უსაპირონი,
ებურნეს მოშლით რიდენი ფასისა
თქმად საჭირონი,
ჰშვენოდეს შავნი წამწამნი გულისა
გასაგმირონი
და მას თეთრსა ყელსა ეხვივნეს გრძლად
თმანი არ უხშირონი!
(რუსთველი).

მხატვართ ვერ შესძლეს ხატვა სახისა და სდგანან უქმად მძახნი [ს]ახისა (შავთელი).

ვ. ბარნოვი.

# საქართველოს მართმადიდებელ ეკლესიას დალუპვა მოელის.

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდის, ივერიის ეკლესია ბრწყინავდა,

[illegible]

რესპუბლიკანური მმართველობაა დამყარებული განათლებულ საფრანგეთში, მაგრამ მათი ეკლესია, მიუხედავათ ამისა, რომ სახელმწიფოს გამოეყო,

[illegible]

[1] წითელი [2], გაშლილი გავრცელებული. [3], ლოყები. [4], ლამაზ ნაქვთიანი [5], თეთრი მარმარილო. [6], აი. [7], დაუჯმუჯნავი. [8], ღრმა ადგილი მდინარეში. [9], ატეხილი მცენარე. [10], თავისუფლად აზრდილი. [11], ხშირი ტყე. [12], აგიჟებ. [13], დახვრა, მიხვრა. [14] მთა პალესტინაში. [15], მთა პალესტინაშივე.

აღწერა გაფანტულია პოემებში. შევკრიბე. შევაკავშირე. ნეტა რომელსამე ჩვენ მხატვარს ჩვენებ[ი]დ გადაექცეს.

მღ. ალ. ოქროპირიძე.

# მორწმუნეთა კრება კათოლიკოზ—პატრიარქის თავმჯდომარეობით

[illegible]

მოწმენიც დღეს ყველანი ვართ. აღნიშნა თუ რა დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ეკლესიას ჩვენი ერისა და კულტურის წინაშე; გააცნო დამსწრეთ ეკლესიის არსებობის პირობები სხვა, განათლებულ ქვეყნებში და თუნდა იმ საფრანგეთშიაც, რომელსაც ხშირად ასახელებენ ზოგიერთნი ვითომდა იმის დასამტკიცებლად, რომ იქ სარწმუნოებას შეუმჩნეველი ალაგი უჭირავს. ყველას ყურადღება მიაქცია იმასაც, რომ ამ ბოლოს დროს ეკლესია უკუგდებულ იქმნა, რამაც უმეცართა წრეში ხელი შეუწყო რღვევას, ანარქიას და სარწმუნოებრივ-ზნეობრივ გახრწნას. შიში გამოსთქვა, რომ ამ მოვლენას შეიძლება ისეთი შედეგები მოჰყვეს, რომ ადამიანს აღარც კი ეცხოვრებოდეს. ყველა ეს და მასთან ისიც, რომ მოკლე მომავალში მოსალოდნელია ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფა, რაიც შეიძლება ზოგიერთს ეკლესიის სრულ უარყოფად მიაჩნდეს, გვიკარნახებს, ბრძანა უწმინდესმა კათოლიკოზმა-პატრიარქმა რომ მორწმუნეებმა ჩვენ თავს ჩვენვე უნდა უპატრონოთ, შევუმზადოთ ცხოვრების ახალ პირობათა შესათვისებლ[ა]დ, დასახვედრად. ამისათვის კი საჭიროა მჭიდროთ შეერთება, შეკავშირება. საუბარი მისმა უწმინდესობამ დაასრულა წინადადებით: საჭიროდ სთვლით, თუ არა ორგანიზაციას მორწმუნეთა შორის, რომ ყველანი შევკავშირდეთ და ხელი შეუწყოთ ზნეობა-სარწმუნოების გამტკიცებას? თუ ეს საჭიროა, ავარჩიოთ კომისია დავალებით მორწმუნეთა საზოგადოებისათვის წესდების დამუშავებით, რომ ეს წესდება დაგვიმზადონ შემდეგ კრებისათვის, რის მოწონების უმალ შევქმნათ ზემოხსენებული საზოგადოება. ეს წინადადება ერთხმად იქმნა მიღებული და ყველანი ალტაცებით მიეგებნენ მას. ამის შემდეგ კრებას წინადადება მიეცა აერჩიათ თავმჯდომარე და მდივანი, რომ საქმიანობას შესდგომოდნენ. საერთო თხოვნით თავმჯდომარეობა კრებისა თვით კათოლიკოზმა იკისრა, მდივნად არჩეულ იქმნა დ. დავითაშვილი. შეუდგნენ კომისიის წევრთა არჩევას. კათოლიკოზ-პატრიარქმა სასულიერო პირთაგან კომისიაში დაასახელა დეკანოზი—პროფესორი კორ. კეკელიძე დეკან. იასონ კაპანაძე და კალ. ცინცაძე, რომლებიც მიღებულ იქმნენ; საერო პირთაგან 3—4 წევრის დასახელება და არჩევა თვით დამსწრეთ დაავალა. კრებაზე მყოფთაგან აირჩიეს გენერალი ლავრ. ბაღუაშვილი და ივ. რატიშვილი. დაასახელეს გარედან მოსაწვევად პროფ. ივ. ჯავახიშვილი, ექვ. თაყაიშვილი, რაფ. ივანიცკი (ინგილო) და იას. ჯავახიშვილი. ამ უკანასკნელ პირთადმი მიმართვა დაავალეს თვით უწმინდესს კათოლიკოზს.

ამით დამთავრდა პირველი კრება მეორე იქნება 25 იანვარს.

დამსწრეთაგანი

რედაქტორი:
„სარედაქციო კოლეგია“
გამომცემელი: თბ. ვაჭ.-მრ. კომიტეტი.

მედიცინის დოქტორი
**გ. ა. ახვერდოვი**
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. ს-მდე საგანგებოდ ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1,
50—2559—3

დოქტორი მედიცინისა ყოფ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის უნივერსიტეტების კლინიკების
**გ. გ. მეჰრაბიანი**
შინაგანი ავადმყოფობა, ჰლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტროწამლობის კაბინეთში.. გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით. ჰლექების აპერაცია—პრევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 ს. და საღ. 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

სამკურნალო კაბინეთი ექიმის
**ალექსანდრე დავითის ძე ქამქამიძე**
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 4 საათ. 6 საათ. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
**კალანდარიშვილი**
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებ-მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ.-მდე ოლღას ქ. 3. ტელეფონის № 17—21.

**სამკურნალო კაბინეტი**
**ექ. კ. ტყეშელაშვილისა**
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქეს და საშარდე ორგანოთს-(606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევა საათ 25—2536—1

ივ. ზურაბიშვილი.

# ქაჯი

## ნოველლა უგო ოიეტტისა

(იტალიურიდან)

ანჯელიკა დიდ დაჟანგულ გასაღებს აწვეთებდა შუშიდგან ზეთს, სერაფიმა კი აქეთ-იქით ატრიალებდა გასაღებს, რომ ზეთი ყოველს მხრით წასმოდა, სწორედ ისე, პატარა ბიჭი რომ შამფურზე აგებულ ქათამს ატრიალებს, მინამ მზარეული ქალი ინდოურის ფრთით მსუქან წვენს ზედ უსხამს.

— ათი წელიწადი იქნება, რაც კლიტეში არ გაგვიყრია...

— რატომ ოციც არა. ჩვენთვის, მადლობა გამჩენს, საჭირო არ ყოფილა,—და ორივე ჩასუქებულმა და უშფოთველმა ქალმა ღრმად ამოიხვნეშეს და მუცელზე ხელი მოისვეს, რადგან წითელ ქობიან შავ წინსაფარზე რამდენიმე წვეთი დაცემოდა. მათ უკან აპრილის მზეზე ამწვანებული ბოსტანი მოსჩანდა და ყმაწვილის ლოყებსავით ნაზ გიგნლ გადაკრული ნორჩი ფოთლები და დაბლარი ვაზი.

მართლადაც, ეზოს შემოვლებულ კედელში დაყოლილი გასასვლელი კარი ღია იყო, რადგან მთელის წლების განმავლობაში არას დროს არ იკეტებოდა და ხის ურდულით ირაზებოდა მხოლოდ. ეხლა გასაღების ენის მოძრაობაში მოსაყვანად დებმა გამოიღეს ურდული. სერაფიმამ ერთხელ კიდევ გაუყარა გასაღები კლიტეს, მაგრამ ვერ იქმნა, ვერ გადაატრიალა.

— მეტი გზა არ არის, ზეინკალს უნდა დავუძახოთ.

— ვინ იცის, რას იფიქრებენ...

მაშინ ანჯელიკამ შედგა ზეთიანი შუშა კედელზე, ამოიღო ჯიბიდან მეორე გასაღები, ისეთი მბზინავი ხმარებისაგან, თითქო ვერცხლის ყოფილიყოს, გაუყარა პირველის რგოლს, ბერკეტად გამოიყენა ამრიგად მისი ტარი და ისე დააწვა ორივე ხელით, რომ გაწითლდა და ოფლიც გამოუვიდა, და ბოლოს კლიტეც დანებდა. მაგრამ ანჯელიკა განაგრძობდა გასაღების აქეთ-იქით ტრიალს, და კლიტის ენის ყოველ გამოყოფაზე სერაფიმა აწვეთებდა თითო წვეთს ზეთს. გამვლელი სოფლის ქალი მიესალმა:

— კლიტეს ასწორებ, ქალიშვილო?

აქ ორივეს ქალიშვილებს უწოდებდნენ, რადგან გაუთხოვარნი იყვნენ, თუმცა ანჯელიკა ორმოცდა-ხუთისა და სერაფიმა ორმოცის წლისანი იყვნენ.

— იმედი ვიქონიოთ, რომ არ მოსდებს ქვეყანას, სთქვა ანჯელიკამ, ფრთხილად ჩაკეტა კარი და გადარაზა ხის ურდულით.

ამ ამბის მიზეზი ის იყო, რომ მათმა ძმამ გამოგზავნა მამიდებთან სოფლად თავისი პეპპინა და თან დაბეჯითებით ითხოვდა სამის პირობის ასრულებას,—რომ პეპპინა ვერ ჰხედავდეს კაცებს, რომ პეპპინას არ მოსდიოდეს ბარათები, და რომ არავინ არ გაიგოს მომხდარი სკანდალი. სკანდალი კი საშინელი იყო; ერთ ღამეს პეპპინა გაპარულიყო და მისულიყო ერთ სიცილიელ სტუდენტთან, რომელიც იქვე, ზემოსართულში სცხოვრობდა. გაპარვით არა დაშავდებოდა რა, რომ დილის ორ საათზე არ დაბრუნებულიყო მამა მისი, რომელსაც იმ ღამეს ძილი გასტეხოდა, თუთუნის მოწევა მონდომებოდა და ასანთის ძებნაში ყველა ოთახები შემოევლო. არც ზემო სართულში რომ სტუდენტი სცხოვრობდა, იმასთან მისვლით დაშავდებოდა რამე, მის დედ-მამას რომ მთელი ორი საათი არ გაეტარებინათ მის ლოდინში; შეწუხებულები, გაყინულები და გაბრაზებულნი იდგნენ მოხურულ კარს უკან და დილის ოთხ საათამდის ყურს უგდებდნენ მათ ჩურჩულს, სიცილს და კოცნას კიბეზე. პეპპინას დაეჟინებინა, რომ მათი სიყვარული ისეთივე წმიდა და მაღალია, როგორც გვრიტების სიყვარული, ლექსებში რომ სწერია, რომ მისი ვანო შეირთავს მას, როგორც კი დაამთავრებს სწავლას, რადგან სწავლის დამთავრება ყველა სხვა უფლებაზე უფრო ცოლის შერთვის უფლებას იძლევა, რომ ბოლოს, იმ ღამეს მისი ვანო ავად იყო, ისე ავად, რომ პეპპინამ ვერ გაუძლო იმ ერთგვარ დედობრივ გრძნობას, რომელიც ზოგჯერ დედებსაც მოეპოვებათ, შეყვარებულ ახალგაზრდა გასათხოვარ ქალებს კი ყოველთვის.

პეპპინა უნდა ჩამოსულიყო ამ საღამოს. და ანჯელიკა და სერაფიმამ მიიღეს ყველა საშუალებანი, დაათვალიერეს ყველა კარები, გასინჯეს ყველა გასაღებები, ამოურჩიეს პეპპინას ოთახი, რომელიც ბოსტანში იხედებოდა და რომლიდგანაც უმანკო ყანებისა, მინდვრებისა და ცის მეტი არა სჩანდა რა, დაუდგეს საწოლის წინ „მიბაძვა ქრისტესი“, უბრძანეს მოსამსახურეთ, რომ მხოლოდ მათთვის გადაეცათ ყოველივე წერილი, რომელიც კი მათ ძმისწულს მოუვიდოდა. შემდეგ თავისთვისაც დააწყეს წესი და რიგი: ნაკლები სიტყვა, კეთილშობილური გულკეთილობა, ფრთხილი, არა ბრიყვული თვალ-ყურის დევნა, სრული სიჩუმე ამას წინად მომხდარი სკანდალის შესახებ. შემდეგ,—ზრდილობიანობა თანდაყოლილი თვისება იყო მათი,—გადაწყვიტეს შინ დახვედროდნენ, მისაღებ ოთახში და არეცოს სადგურზე, ხუთის კილომეტრის სიშორეზე, სადაც უნდა ჩამომხტარიყო პეპპინა, რომელიც ფლორენციაში მიმავალ დედის ერთ მეგობარს უნდა ჩამოეყვანა, გაგზავნეს თავისი მოხუცებული მოსამსახურე ქალი, კბილებ ჩაცვივნული, სანახევროდ თმა დაცვენილი, თვით სიანჩხლე, ისეთი საშინელი, რომ შინაური ჯორი მხოლოდ მას ადგმევინებდა უნაგირს. თითონ კი მოლოდინში სავარძელზე დასხდნენ და ქარგვას მიჰყვეს ხელი.

სერაფიმამ უთხრა ანჯელიკას:

— შენ ხარ უფროსი. როდესაც შემოვა, პირველმა გაეცი შენ ხმა.

— არა, [ჯ]ობია, შენ ელაპარაკო. ჩემთან ყოველთვის მეტად მორიდებული იყო.

ამ დროს მოესმათ, რომ კარებთან გაჩერდა ეტლი და გული აუძგერდათ. მაგრამ შემოვიდა მხოლოდ აქლოშინებული მოსამსახურე.

— ქალი კი არ არის, ქაჯია! თათარსავით სწევს თუთუნს და პირს თუ გაღებს რისამე ბრიყვულის წამოსაროშავად. შემოვიდა თუ არა, „რომელია ჩემი ოთახი“, მკითხა. მოვახსენე, თქვენიანები იქ გელიან—თქო. სწორედ მაგისთვის მცალიანო, მიპასუხა და გაჰყვა ლორენცოს, რომელსაც მისი ბარგი მიჰქონდა. მის ოთახში შევიდა შავი კატა,—ქალბატონებს მოეხსენებათ, რა ანგელოზი ცხოველია,—და სავარძელ ქვეშ დაიძინა თავ კუდ ქვეშ ამოყოფილმა. კიბეზე გადმოანარცხა: „მხეცები არ მინდა. სხვები შეყოფით თქვენ“, წამოისროლა და ჩაიკეტა კარი შიგნიდგან.

— და ეხლა რას შვრება?—იკითხა გაშტერებულმა სერაფიმამ და პირღია დარჩა.

— წვება.

— და სადილი არ უნდა?

პეპპინას ოთახი მეორე სართულში იყო და ქვემო სართულში, რომელიც ორ დას ეჭირა, ამ ოთახის ქვეშ იყო დერეფანი, სავსე ცარიელის ყუთებით, ფეხებ დამტვრეულ მაგიდებით, მოშლილ სანათებით და ობობას ქსელით.

მეორე დილას ანჯელიკა და სერაფიმა სწორედ აქ შეხვდნენ ერთმანეთს, ბნელოში,—ყურს უგდებდნენ, აბა თუ ისმის ზემოდგან დამნაშავის ფეხის ხმაო.

— სძინავს კიდევ?

— თითქოს!..

— და რომ მოინდომოს...

— . .. თავი მოიკლას შიგ?

— სწორედ. პირველი ხომ არ იქნება, რომ შეყვარებულმა...

— ფეხ აკრეფით, ავიდნენ ზემოდ, გაჩერდნენ დაკეტილ კარის წინ, სერაფიმა ისეთი ფერმიხდილი, თითქო აგერ აგერ გული წაუვაო, და ანჯელიკა ისეთი წითელი, თითქო იმ წამსვე დამბლა უნდა დასცემოდა. სერაფიმამ ანიშნა დას, ილაპარაკეო. ანჯელიკამ გადაყლაპა ნერწყვი.

— პეპპინა! მაგრამ არა ისმოდა-რა.

— ვაი თუ ცუდად არის?

— მისცა აზრი სერაფიმამ.

— პეპპინა!

— რა გნებავთ? ხომ დამწყვდეული უნდა ვიყო? აი კიდეცა ვარ. თავს ნუ მაბეზრებთ.

— ჭამა არ გინდა მაინც?...

— არა. გაჩუმდი, თუ შეიძლებოდეს. ნუ გამიჭედე ყურები მაგ ინდაურის ხმით... არაფერი არ მჭირია, არავისი ნახვა არ მინდა, გაიგეთ?

ანჯელიკა გაბრაზებული დაეშვა კიბეზე. ინდაურის ხმა!.. მართალი იყო. ბავშვობაში, გაჯავრდებოდა თუ არა, ყველა მისი ამხანაგები სასაცილოდ აიღებდნენ ხოლმე და ერთხმად გაიძახოდნენ: „გაშალე კუდი, ანჯელიკა, გაშალე კუდი“. მაგრამ მას აქეთ, ამდენის ხნის განმავლობაში აღარავის არ გაუბედნია ამის გამეორება და თითქმის გადაავიწყდა კიდეც. ჩაიკეტა თავის ოთახში. არ უნდოდა არც ტირილი და არც ლაპარაკი. საუზმეზედაც ძლივს ამოიღო ორიოდეჯელ ხმა, რადგან, გააღებდა პირს თუ არა, ესმოდა თავისი საკუთარი ხმა და ეს ტანჯვა იყო მისთვის.

ნასაუზმევს სერაფიმამ დის უთქმელად შეეცადა, რომ ძმის წულს მისთვის კარი გაეღო.

— უკაცრაოდ, პეპპინა. აქ არავის არ უნდა შენთვის ცუდი. შეუძლებელია შიმშილით თავი მოიკლა.

პეპპინამ გაუღო კარი. პერანგის ამარა იდგა ის მაღალი, მოყვანილი, ტანმაგარი და ვარდისფერი. თვალები უელავდა. კისერი, ხელები და ფეხები ტიტველი ჰქონდა; შავი თმა კუს ძვლის ყვითელის ჩხირით ჰქონდა დამაგრებული. მიბრუნდა და წამოწვა ლოგინზე სიგარეტით პირში.

— რა გინდა, მამიდა?

— მინდა, რომ სჭამო რამე.

— მოატანინე რაც გინდოდეს, მე კი არ დავიძვრი აქედგან.

და, როდესაც მოახლე ქალმა, რომელიც გაცამტვერებას უპირებდა თვალებით ახალგაზდა ქალს, მოართვა საუზმე, ის წამოჯდა ლოგინზე, დაიწყო ჭამა და მოურიდებლად შეეკითხა:

— რა სამარცხვინო ამბები გიამბო მამამ ჩემ შესახებ?

— საშინელი მწუხარება მიგიყენებია მამიშენისათვის...

— და მან კი მე, რომ გამომგზავნა აქ და ამიკრძალა ჩემის სატრფოს ნახვა.

— უნდა დავემორჩილოთ ჩვენის მშობლების ნებას.

— და მერე?

— უნდა დაგეცადა, რომ სწავლა გაეთავებინა და მერე ეთხოვენა შენი ხელი...

— დამეცადა? რომ ბოლოს ისეთი ხვედრი მწვევოდა, როგორიც შენ, მამიდა? კარგი მაგალითია სწორედ! ქალმა თითონ უნდა უშველოს თავის თავს; თორემ ეხლანდელ დროს ად ვილად დარჩება გაუთხოვარი.

— რაებს ამბობ, პეპპინა!

— ნამდვილ სიმართლეს. თქვენა ნამდვილი მუმიები გახდით, რადგან მთელ თქვენ სიცოცხლეს გულუბრყვილონი იყავით, — და ვარდისფერ ფრჩხილებით გაფცქვნა ფორთოხალი, გაუყარა კბილები და დაუწყო წუწვნა, ფორთოხლის წვენით დასველებული ტუჩები კი უწინდელზე უფრო წითელი უჩანდა.